N729 2014 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

„დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 დეკემბრის №238 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 დეკემბრის №238 დადგენილებაში (სსმ, 30/12/2005 წ., №153) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) 2014 წლის 1 იანვრიდან - 2016 წლის 1 იანვრამდე:

დ.ა) ცეტანის რიცხვი – არანაკლებ 48;

დ.ბ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 200 მგ/კგ;

დ.გ) სიმკვრივე 15^{0}C – არა უმეტეს 845 კგ/მ^3;

დ.დ) პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მასური წილი – არა უმეტეს 11%;“.

2. პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) 2016 წლის 1 იანვრიდან:

ე.ა) ცეტანის რიცხვი – არანაკლებ 48;

ე.ბ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 150 მგ/კგ;

ე.გ) სიმკვრივე 15^{0}C – არა უმეტეს 845 კგ/მ^3;

ე.დ) პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მასური წილი – არა უმეტეს 11%.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**